საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 87 27.09 2018 წ. თბილისი

სპმთპ-ის IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) წესდების მე-9 მუხლის 9.3 პუნქტის, მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის და 7.4 პუნქტების, სპმთპ-ის ყრილობის რეგლამენტის მე-16 მუხლის 16.1, 16.2 და 16.3 პუნქტების, აგრეთვე სპმთპ-ის №77 აღმასრულებელი საბჭოს №77/2 და №77/3 დადგენილებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2018 წლის **27 ოქტომბერი**, ყრილობის დელეგატთა რეგისტრაციის დაწყების დრო - 10 სთ, საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დაწყების დრო - 12 სთ;
2. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარების ადგილად განისაზღვროს: ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას 77 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 სართული);
3. ზემოაღნიშნულ ბრძანებასთან ერთად გამოქვეყნდეს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს №77 სხდომაზე მიღებული, სპმთპ-ის IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დღის წესრიგის პროექტი (დადგენილება №77/3 თან ერთვის);
4. დაევალოს, სპმთპ-ის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორს ნანა გიორგაძეს, სპმთპ-ის IX საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ ინფორმაციის, სპმთპ-ის პრეზიდენტის ბრძანებისა და დღის წესრიგის პროექტის გამოქვეყნება სპმთპ-ის ვებ-გვერდზე www.educator.ge;
5. დაევალოს, სპმთპ-ის საორგანიზაციო დეპარტამენტს, სტრუქტურული ქვედანაყოფების თავმჯდომარეებს, საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს და კანცელარიის უფროსს (ქეთევან ვადაჭკორია), უზრუნველყონ ყრილობის ყველა დელეგატის ინფორმირებულობა;
6. წინამდებარე დადგენილების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სპმთპ-ის პრეზიდენტი.

სპმთპ-ის პრეზიდენტი **მაია კობახიძე**